განმარტებითი ბარათი
„საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა. ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

2014 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიური დაავადებების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები. შესაბამისად, საქართველოს პარლამენტი დაავალდებულა შეიმუშაოს და მიიღოს ისეთი საკანონმდებლო რეგულაციები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან. ასევე, გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მოთხოვნებთან, რომელიც საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს და ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილს.

ა. ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია საქართველოს კანონში „სამოქალაქო კოდექსში“ ქმედუუნარობის ამსახველი ნორმები შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასა და „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის“ სტანდარტებთან. შესაბამისად, იმ პირების მიმართ, რომლებიც დღეს მოქმედი კანონმდებლობით „ჭკუასუსტობის“ ან „სულიერი მოშლილობის“ საფუძვლით მიჩნეულნი არიან ქმედუუნაროებად, შემოთავაზებულია ინდივიდუალური შეფასების შემოღება, რომელიც არ დაეფუძნება მხოლოდ სამედიცინო მოდელს და მასში მნიშვნელოვან ადგილს დაიჭერს სოციალური შეფასების სისტემაც. ასევე, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების უფლებების დაცვის გაძლიერება, დღეს არსებული სრული უგულებელყოფის სისტემიდან მხარდაჭერისა და გამონაკლის შემთხვევებში ჩანაცვლების მექანიზმების შემოღება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემავალი მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, როგორც სახელწმიფო წარმომადგენლის როლის გაძლიერება, უფლება-მოვალეობების ჩამოყალიბება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ქედუუნარობის ინსტიტუტის შეცვლა ფსქიკური დაავადების მქონე პირების მიმართ. სახელდობრ:

1. კანონპროექტი ახლებურად აყალიბებს იმ პირთა ცნებას, რომლებიც დღეს მოქმედი კანონის თანახმად მიიჩნევიან ქმედუუნარო პირებად „ჭკუასუსტობის“ და „სულიერი მოშლილობის“ გამო. ამის საფუძველს წარმოადგენს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, რომელიც პრინციპულად უარყოფს ადამიანისთვის ქმედუნარიანობის ჩამორთმევას (მუხლი 12). კონვენციის ხელმოწერით, სახელმწიფოები ასევე აღიარებენ, რომ „შეზღუდული შესაძლებლობები არის დინამიური ცნება და წარმოადგენს ჯანმრთელობის დარღვევის მქონე პირებს, მათ მიმართ დამოკიდებულებისა და გარემო ბარიერების ურთიერთქმედების შედეგს, რაც აფერხებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ თანაბარ, სრულყოფილ და ეფექტურ მონაწილეობას.“ შესაბამისად, მხოლოდ ფსიქიკური ჯანმრთელობის გამო ადამიანისათვის არა თუ ქმედუნარიანობის ჩამორთმევა,

არამედ მისთვის ქმედუნარიანობის შეზღუდვაც კონვენციით დადგენილი მაღალი სტანდარტის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით: „გონებრივი ჩამორჩენილობისა და ფსიქიკური აშლილობის მქონე სრულწლოვანი პირების სამართლებრივი დაცვა უნდა ემყარებოდეს: 1. **სამართლებრივი რეგულირების მოქნილობის პრინციპს**, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს ისეთი სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც უზრუნველყოფენ, პირის უფლებებისა და ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით, კონკრეტულ სამართლებრივ ვითარებაში მისი ქმედუუნარობის ხარისხის მაქსიმალურად სრულ გათვალისწინებას, ქმედუუნარობის განხვავებული ხარისხებისა და განსხვავებული ვითარების შესაბამისი სამართლებრივი რეგულირების არსებობას; 2. **ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების პრინციპს**, რაც გულისხმობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ქმედუუნარობის განსხვავებული ხარისხების არსებობასა და პირის ქმედუნარიანობის ხარისხის ცვლილების შესაძალებლობას დროთა განმავლობაში; **3. დაცვითი ღონისძიებების პირის ქმედუნარიანობის ხარისხთან თანაზომიერების პრინციპი,** რომლის თანახმად, ქმედუნარიანობის შეზღუდვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ქმედუნარიანობის კონკრეტული ვითარება და შესაბამისი პირის კონკრეტული საჭიროებები. **პირის უფლება-თავისუფლებაში ჩარევა დასაშვებია მხოლოდ იმ მინიმალური მოცულობით, რაც აუცილებელია მიზნის მისაღწევად.** დაცვითი ღონისძიებები ავტომატურად არ უნდა გულისხმობდეს პირისათვის ქმედუნარიანობის სრული მოცულობით დაკარგვას, ხოლო იქ, სადაც ეს შესაძლებელია, სრულწლოვან პირს უნდა ჰქონდეს უფლება, დადოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ყოველდღიური ყოფითი გარიგებები. ამდენად, კონვენცია და საკოსტიტუციო სასამართლო უარყოფს ადამიანისათვის ქმედუნარიანობის სრულად ჩამორთმევის შესაძლებლობას, ამავდროულად, კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს პირის იდივიდუალური შეფასებისას სახელწიფო არ შემოიფარგლოს მხოლოდ სამედიცინო მიდგომით. შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულების ასახვის მიზნით, სამოქალაქო კოდექსში შემოდის ცნება „ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე პირი (მხარდაჭერის მიმღები) - ანუ პირი, მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში. ეს დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშნელოვნად უნდა ართულებდეს მხარდაჭერის მიმღების მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებთან დაკავშირებით (შემდგომში „მხარდაჭერის მიმღები)“.

2. კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებების თანახმად „მხარდაჭერის მიმღები“ პირი ითვლება ქმედუნარიან პირად, რომელსაც ფსიქო-სოციალური საჭიროებების ინდივიდუალური შესწავლის საფუძველზე შეიძლება სასამართლოს მიერ დაენიშნოს მხარდამჭერი, ანუ პირი, რომელიც მას დაეხმარება საკუთარი უფლებების რეალიზებასა და ინტერესების დაცვაში. კანონპროექტის თანახმად, განმარტებულია თუ რაში გამოიხატება მხარდაჭერა და რა ვალდებულებების აქვს მხარდამჭერ პირს. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლის მეორე ნაწილი ყალიბდება შემდეგი სახით: „ფსიქო-სოციალური საჭიროებების მქონე პირის მხარდამჭერი მოვალეა თვალყური ადევნოს ასეთი პირის მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, გამოიკვლიოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებაში მხარდაჭერის მიმღებისთვის გასაგები საკომუნიკაციო

ფორმით. მხარდამჭერი ასევე ვალდებულია, სასამართლოს მიერ დადგენილი პერიოდულობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ინფორმაცია სასამართლოს მიერ მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით, სადაც მიუთითებს მის მიერ სამზრუნველო პირისთვის მხარდაჭერის განხორციელებასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.“.

3. კანონპროექტით შემოთავაზებულია „მხარდაჭერის მიმღები“ პირის მიერ ქორწინების შემთხვევაში საქორწინო ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება, რომლის გაფორმების პროცესში სავალდებულოდ მონაწილეობენ მხარდამჭერი პირი (ანუ პირი, რომელიც სასამართლოს მიერ განისაზღვრა მხარდამჭერად) და მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი. აქვე, კანონპროექტი ითვალისწინებს დათქმას, რომ იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს ასეთი პირის ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაშია განსაზღვრული. (სამოქალაქო კოდექსის 1172-ე მუხლი). გამომდინარე იქიდან, რომ ცვლილებები ემყარება პირის ინდივიდუალურ შეფასებას და მხოლოდ ინდივიდუალური შეფასების შედეგად იმის განსაზღვრას, თუ რა სფეროში არის სავალდებულო მხარდამჭერის დანიშვნა, ახლებურად ყალიბდება სამოქალაქო ზიანის ანაზღაურების საკითხი. მოცემულ შემთხვევაში მხარდაჭერის მიმღები პირის სრულად განთავისუფლება ზიანის ანაღაურების ვალდებულებისაგან არ ხდება, კანონპორექტი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას უკავშირებს მხარდამჭერის პირის გადახდისუნარიანობის საკითხს, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 995-ე მუხლი ყალიბდება შემდეგის სახით:

„1. თუ მხარდაჭერის მიმღები მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიაყენებს ზიანს სხვა პირს, მას ეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, მისი გადახდისუნარიანობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

2. მხარდაჭერის მიმღების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, მისი მხარდამჭერი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მის მიერ შეუძლებელი იყო ამ ზიანის თავიდან აცილება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.“

რაც შეეხება, მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ დადებული გარიგების წესებს, ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ორმხრივ გარიგებაში, სავალდებულოდ მხარდამჭერის ხელმოწერით იმის დადასტურება, რომ გარიგების დადების პროცესში განხორციელდა სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერა (მუხლი 69, პუნქტი 3[1]).

გარდა ამისა, კანონპროექტი მხარდაჭერის მიმღები პირის მიერ გარიგების ნამდვილობის საკითხს უკავშირებს შემდგომში მხარდამჭერის მიერ მისი მოწონების საკითხს, თუმცა ამის სავალდებულობა არ იარსებებს იმ შემთხვევაში, თუ მხადამჭერის მიმღები ამ გარიგებით იღებს სარგებელს. შესაბამისად, კანონპროექტს ემატება 58[1]-ე მუხლი, შემდეგი ფორმულირებით: „თუ მხარდაჭერის მიმღები დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) სასამართლოს მიერ განსაზღვრული მხარდაჭერის განხორციელების გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი მხარდამჭერი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს.“

კანონპროექტის თანახმად მხარდამჭერს ნიშნავს სასამართლო, რომელიც ასევე განსაზღვრავს მხარდაჭერის ფარგლებს და მხადამჭერი პირის უფლება-მოვალეობებს - (მუხლები 1282-1283).

მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ ფარგლებში უფლება-მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობას განახორციელებს მეურვეობისა და

მზრუნველობის ორგანო (შემდგომში „ორგანო“). გარდა ამისა, ორგანო ვალდებული იქნება ყოველ 6 თვეში ერთხელ გადაამოწმოს მხარდამჭერის საქმიანობა. თავის მხრივ, მხარდამჭერი პირიც ამავე პერიოდულობით ვალდებული იქნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიაწოდოს ანგარიში სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ფარგლებში საქმიანობის შესახებ. ზედამხედველობის პერიოდული განხორციელების შედეგად მეურვეობისა და მზურნველობის ორგანოს გამოაქვს დასკვნა მხარდაჭერის დადებითად ან უარყოფითან განხორციელების თაობაზე, რაც შემდგომში შეიძლება გახდეს მხადამჭერის შეცვლის საფუძველი, უარყოფითი დასკვნის დადების შემთხვევაში.

კანონპროექტი ითვალისწინებს მხარდაჭერის მიმღებ პირთა ერთიანი ბაზის შექმნის აუცილებლობას, რომელშიც შევა შემდეგი მონაცემები: ა) მხარდაჭერის დაწესების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების მონაცემები; ბ) მხარდაჭერის მიმღები პირის და მხარდამჭერის პირადი მონაცემები; გ) მონაცემები მხარდამჭერის გათავისუფლების, მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ; დ) მონაცემები მხარდაჭერის შეწყვეტის შესახებ; ე) მონაცემები მხარდაჭერის მიმღების მიერ ქონებრივი უფლებების რეალიზაციის შესახებ; ვ) მონაცემები საქორწინო ხელშეკრულების პირობეიბს დაღვევაზე; ზ) ზედამხედველობის მოკლედ აღწერა; თ) სხვა მონაცემი, რას უკავშირდება მხარდაწერის მიჯმღებ პირს და ორგანოს გადაწყვეტილებით მნიშვნელოვანია ზედამხედველობის განსახორციელებლად (მუხლი1305[6]).

ჩანაცვლების სისტემა ამუშავდება იმ შემთხვევაში, თუ სახეზე იქნება ერთობლივად რამდენიმე გარემოება: ა) მხარდამჭერის მიმღებ პირთან კომუნიკაციის დამყარებელი შეუძლებელია ერთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და ბ) მის ნაცვლად გადაწყვეტილების მირღების აკრძალვა ზიანს მიაყენებს ამ პირს. ხსენებულ ორი პირობის არსებობის შემთხვევაში მხარდამჭერი პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ჩანაცვლების უფლება. (მუხლი 1293, პუნქტი 4).

წარმოდგენილი ცვლილებებით შემოთავაზებულია გარდამავალი ეტაპი, რომელიც ითვალიწინებს 5 წლიან პერიოდს, ანუ 2015 წლის 1 აპრილიდან 4 წლის განამავლობაში დღეს მოქმედი კანონის მიხედვით ქმედუუნარო პირების მეურვეები ვალდებული არიან მიმართონ სასამართლოს ინდივიდუალური შეფასებისათვის და მხარდაჭერის ხარისხის დადგენისათვის, ხოლო სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული პირების ინდივიდუალური შეფასებისათვის სასამართლოს 2 წლის განმავლობაში უნდა მიმართოს ამ დაწესებულების ადინისტრაციამ.

გარდამავალი დებულებების თანახმად, მეურვეობისა და მზურნველობის ორგანო 1 წლის განმავლობაში ქმნის შესაბამის ბაზას. მონაცემთა ბაზის შექმნიდან 6 თვის განმავლობაში წერილობით აფრთხილებს მეურვეებს სავალდებულოდ სასამართლოში მიმართვის თაობაზე და ამ მოვალეობის დარღვევის შემთხვევაში კანონმდებოლბით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ. გადამავალი დებულებებით გათვალისწინებული 4 წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო თავად მიმართავს სასამართლოს იმ პირთა ინდივიდუალური შეფასების მიზნით, რომელთა მეურვეებმა არ მიმართეს სასამართლოს, ასევე, მრუვეობისა და მზურნველობის ორგანო ვალდებულია იმ შემთხვევაში, თუ მეურვე არ შეასრულებს ამ ვალდებულებას.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ. ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ასეთი არ არსებობს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ ხდება გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სააპელაციო სასამართლოს წარმომადგენლები, სახალხო დამცველის აპარატი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭო, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის წარმომადგენელი საქართველოში, გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი), საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და სწავლების ცენტრი (EMC), ორგანიზაცია "ხელმისაწვდომი გარემო ყველასათვის", პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის, ფსიქიატრები და სხვა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

ქმედუნარიანობის სამართლებრივი ინსტიტუტის რეფორმასთან დაკავშირებით იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: იურიდიულ საკითხთა კომიტეტი